დამტკიცებულია:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2019 წლის 18 თებერვლის N50/37 ბრძანებით

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის სამოქმედო გეგმა

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სამოქმედო გეგმა ეფუძვნება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის,საბიუჯეტო კოდექსის,საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების მოთხოვნებს.

  კომისიის შემადგენლობაშია 19 წევრი: ვარლამ ჭიპაშვილი,გივი თხელიძე,იუზა კელენჯერიძე,მიხეილ ჭიპაშვილი,ოთარ ლურსმანაშვილი,ვახტანგ ტალახაძე,ვლადიმერ ტალახაძე,რუსუდან გიორგაძე,მარინე ხვედელიძე,პავლე კიკალიშვილი,მალხაზ ფხალაძე,ქეთევან ზუმბაძე,თორნიკე ავალიშვილი,ლენა აბაშიძე,ნონა ზურაბიანი,აკაკი ლურსმანაშვილი,პაატა გოგოლაძე,გივი თავზარაშვილი და დავით კიკნაძე.

კომისიის სხდომებს უხელმძღვანელებს კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი,კომისიის უფლებამოსილების ვადით სხდომის მდივნად არჩეულია ლენა აბაშიძე.

 კომისია მთელი წლის განმავლობაში განიხილავს ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებს და შესაბამისად შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

კომისიის მორიგი სხდომა ჩატარდება ყოველი თვის ბოლო ორშაბათს დღის 11 საათზე.

თებერვლის თვეში განვიხილავთ საბიუჯეტო ცვლილების პროექტს,რომელიც დაკავშირებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილ თანხებთან და მუნიციპალიტეტში სკოლების რეაბილიტაციის მიზნით დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ფინანსურ წყაროსთან,ამავე თვეში კომისია განიხილავს 2018 წლის ბიუჯეტის წლიურ ანგარიშს.

მარტის თვეში,კომისია დამატებით მოისმენს ინფორმაციას შპს „ხარაგაული-2011“-ის ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ,ასევე გაეცნობა აღნიშნული ორგანიზაციის აუდიტური მონიტორინგის შედეგებს.კომისია ასევე იმსჯელებს მუნიციპალური მომსახურებების(ბეჭდვითი და სათნოების სახლის) ტენდერზე გატანის საკითხზე და გადაწყვეტილების შესაბამისად შეიმუშავებს რეკომენდაციას.მარტის თვეშივე,კომისია მოისმენს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის აიპების რეორგანიზაციის საბოლოო შედეგების შესახებ.

აპრილის თვეში კომისიაზე მოუსმენენ მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედ სატენდერო კომისიას მუნიციპალურ შესყიდვებთან დაკავშირებით,ასევე გაეცნობიან

ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ,ასევე მოისმენენ მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მაისის თვეში კომისია განიხილავს თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტლურ ანგარიშს,ასევე მიიღებს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში მერიის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

ივნისში კომისია გაეცნობა საანგარიშო პერიოდში მერის მიერ თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად,საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ,მხარჯავი დაწესებულებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ივლისის თვეში კომისია მოისმენს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მოქმედი ააიპ-ების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას,გაეცნობა საბიუჯეტო ორგანიზაციების საშტატო ნუსხებსა და დასაქმებულთა თანამდებობრივ სარგოებს,ასევე მოვისმენთ ინფორმაციებს იმ ღონისძიებების შესახებ,რომლებიც გაატარა მერიამ მიმდინარე წლის განმავლობაში 2018 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ შემუშავებული შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

აგვისტოს თვეში კომისია მოისმენს ინფორმაციას 2019 წლის ბიუჯეტის კვარტლური შესრულების შესახებ და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

სექტემბრის თვეში კომისია მოისმენს ინფორმაციას სხვადასხვა ფონდებიდან მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით დაგეგმილი ხარჯების ათვისების მაჩვენებლების შესახებ.

ოქტომბრის თვეში მოისმენს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს და გაეცნობა საბიუჯეტო ორგანიზაციების აუდიტური შემოწმების შედეგებს.

ნოემბერში განიხილავს თვითმმართველი ერთეეულის 2020 წლის პრიორიტეტების დოკუმენტს და 2020 წლის ბიუჯეტის პროექტს და შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს.

დეკემბერში განიხილავს თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტლურ ანგარიშს.